

ნიანები

მარტი 1914 წ.
№ 6 ფასი 40 კ.

ახლა ქალი უკვე იმდენად გაიზარდა, რომ უხერხულად გვეჩვენება დაპარაკი ქალთა შორის სპეციფიურ მუშაობის შესახებ...

შეიძლება ისიც მოხდეს, რომ მალე ქალებმა გვითხრან: „უნდა გავაძლიეროთ მუშაობა მამაკაცებს შორის.“

(იხ. კავანოვიჩის მოხსენებიდან 17 ყრილობაზე)

ნახ. ვ. კროტკოვის



ვ. კროტკოვი 34

დამკვეთი ქალი: — ჩვენი ცეხის ქალთა ბრიგადამ, რომელმაც სოცმუჯიბრში გამარჯვება დამაგვა-
ლა დაგებნაროთ ახალ მუჯიბრში გამარჯვებისათვის საბრძოლველად.



ამ ერთი წლის წინეთ ღიმილით შემხვდა ქუჩაში ამხანაგი პოლიცარავე, — გვარს არ დავასახელებ, — რა ვიცი, იქნებ საწყენად დაურჩეს! — მხიარულად მომესალმა და მოთხრა:

— მომილოცე, კაცო, ახალი თანამდებობა!

— რა თანამდებობა არის ისეთი, რომ მოსალოცავია? — ვკითხე მე.

მან დამისახელა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დარჯის გამგის თანამდებობა.

— მერე ამ საქმის რომ შენ იწი არ გესმის? — მან ტუჩები აიბზიკა, პოროფელი ხელში შეატრიალა და ისეთი გამომეტყველებით გადმომხედა, თითქოს დიდი რამ შეუსაბამობა მეთქვას.

— მერე რა საჭიროა, რომ მესმოდეს რამე ამ საქმის? შე მხოლოდ ხელმძღვანელობას გაუწევ და საქმის მცოდნე სპეციალისტები კი სხვები მეყოლებიან!

— კი მარა ამ სპეციალისტებმა რომ თავისებურად წარმართონ საქმეები და არა ისე, როგორც ეს საჭიროა საბჭოთა ხელისუფლებისათვის?

— სწორედაც იმიტომ ვინიშნები მე ხელმძღვანელად, რომ ამ სპეციალისტებმა არა თავისებურად წარმართონ საქმეები, არამედ ჩვენებურად. აქ არის საჭირო მათდამი შესაფერი მიდგომა, რაც მე კარგათ მეხერხება!

— როგორ მაინც, ფრიად საინტერესოა ჩემთვის ეს, — იქნება მეც გამოვიყენო ოდესმე ცხოვრებაში შენი მაგალითი!

— სულ ადვილი საქმეა! თუკვათ, მომივა რაიმე ქალაქი,

ან დავალება შესასრულებლად შემდგომ სადირექტივო და საბჭოთა ორგანოდან, გამოუძახებ შე საფერ სპეციალისტს, ან მცოდნე პირს და დავავალებ, — ხან მკაცრი ბრძანებით, ხან დაყვავებით:

— აბა, გაცნანით ამ საკითხს კარგად, დაამუშავეთ შესაფერი გეგმა, (თუ პასუხი, — ესა წერილის შინაარსის მიხედვით), ახოვითარ ბუნდოვანებას და გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი, თორემ ხომ იცით ჩემი ხასიათი, — ვერ გაპატიებთ დავალების ზუსტად შეუსრულებლობას! — მორჩა და გათავდა! რამდენიმე ხნის შემდეგ მხოლოდ ხელისმოწერა მომიხდება ქალაქში, მეტი არაფერი!

— კი მარა, სპეციალისტმა, ან მცოდნე პირმა რომ შეგეკითხოს, თუ რა სახით, როგორ გადასწყვიტოს ესა თუ ის საკითხი, — ხომ უნდა და მისცე რაიმე მითითება?

— სრულიადაც არა! მე თუ ვაძლიე მითითებები, მე თუ ვაძლუ შავე საკითხები, მაშინ ისინი რაღა მოხელენი არიან? მათი გამოყენება, მათი თავით მუშაობა არის საჭირო, მეგობარო, და ეს ჩვენ გვჩვევია, საქმის ხალხს!

პოლიკარავე გამომემშვიდობა და ისე თავადებული და მტკიცე ნაბიჯით წავიდა, თითქოს უკვე მიუღია რამდენიმე წითელი ორდენი სპეციალისტებისადმი სიმაჯაღიით მიდგომისთვისო.

ამის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში აღარ შეგხვდარივარ პოლიკარავეს სალაპარაკოდ, რადგან შე ფენით დავდიოდი და ის კი ავტოთი დაქროდა.

მხოლოდ ამ დღეებში შეხვეთათა წინ პოლიკარავე რუსთაველის ქუჩის ქვემოდ, ძნელადის და ლუნაჩარსკის მოსახვევში, სადაც მე მივხვდი იმ მიზნით, რომ დამეთოროგორ მიმდინარეობს მეცნიერთა სასახლის აგების საქმე და ხომ არაფერი შემხვდებოდა იქ ნიანგის საკბილოთა პოლიკარავე კი, ეტყობოდა, რუსთაველის პროსპექტს არიდებდა თავს, რომელზედაც ის მხოლოდ მანქანით გაჭროლებას იყო უკვე შეჩვეული და არა ფეხით სიარულს.

შევატყვე, რომ ჩემი შეხვედრა არ იამა პოლიკარავეს, მარა ღიმილით მომესალმა მაინც.

შეკითხვაზე, თუ რომელ დაწესებულებას ხელმძღვანელობდა ეხლა — პირდაპირ არ მიპასუხა, არამედ შორიდან ჩამომიგდო ლაპარაკი იმაზე, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა ეხლა დაწესებულების ხელმძღვანელობა, რომ ყველაფერის ცოდნა იყო საჭირო და უხარმაზარი პასუხისმგებლობა აწვა კისერზე დაწესებულების ხელმძღვანელს.

მე აღარ ჩავძიებიავარ და ისე კი მისი ნალაპარაკვიდან ვერ გამოვარკვიე, თუ რომელი დაწესებულების პასუხისმგებლობა აწვა ტყირთად კისერზე.

პოლიკარავე ეხლა დაღვრემილი გამომემშვიდობა და ისეთი ნაბიჯით წავიდა, თითქოს ეს არის ეხლა ჩამოართვეს დამსახურებისთვის მიღებული ყველა ორდენებიო...

რა ხერხს არ მივიხრათ, ჩვენ იუმორისტები, რომ მკითხველში სიცილი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ღიმილი მაინც გამოვიწვიოთ. მაგრამ მაინც ხშირად გვიწყევდებენ, ვერ გვაძინებთო.

მართალია ჩვენი მიზანი არც არის მაინცა და მაინც მუცელზე გავხეთქოთ ხალხი სიცილით, მაგრამ ცოტათი, თუ წიარულ გუნებაზე დაეყენებთ მკითხველს და მასთან ერთად საქმესაც სარგებლობას მოუტანთ, ეს ჩვენ დიდ დამსახურებად მიგვაჩნია.

მაგრამ ყოფილა ხალხი, რომელიც თურმე გვეჯობებდა ამ საქმეში და სარგობს დო. შედეგს აღწევს. ისინი ხალხს კი არა პირობებენ, არც კი აცინებენ, თავიანთი ოსტატობით.

ვერც კი წარმოგვედგინა, რომ მეტოქეები ჩვენ გამოგვიჩინებოდნენ ასეთი ცალიბრის ხალხში, რომელთაგან მერ ნაწილს იუმორისა და სატირის აბოლსაც კი არ გაუგლიათ და გარდა „ღრმა შეცნობილი“ კვლევადიებისა, ვეფგონა, არაფერი სწავლიათ!

ვინ არიან ისინი? ისინი გახლავთ მეტოქეულთა სპეციალისტები მიწისაგან აპარატიანი, სპეციალისტები, რომლებიც სპეციალური მიზნებით იღებენ ხელს დასა და რომელიც გვიჩვენებია, რომ საქართველოში პირობების ჯიშს ისე ვაუზობენ, რომ ერთმა ქროხამ შეიღიბო პოეზიას ერთად, ერთმა ცხვარმა — 30 ბატკანი ერთმა ღორმა მრავალი ათეული გოჭი დაყაროს პანტასივით.

მუშაობენ სპეციალურად მეცხოველოების დარგში და აცთებენ იღბად ისეთ საქმეებს, რომელთა ნიმუშს წარმოადგენს შვენილ მოყვანილი ამბავი.

მოგესვენებთ, რომ აქარსტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებობს ხელოვნური რაიონი, სადაც მეცხოველოების განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს.

აქ არსებობს მეცხოველოების საჯიშე ფერმა, რომელშიაც ადგილობრივი ჯიშის ქროხები იყენებენ და არიან ახლიც. აქირულ ქროხებს თავი მოჰქონდათ, როგორც კარგი წინაპრების შთამომავალი და საჯიშე ფერმაშიაც ჯეიანურივით დასერილობდნენ, მაგრამ სპეციალისტებმა მიღე აღნიჭებოდ დაუწყეს მათ ყურება. აქარულ ქროხები მგაძნობიარე პირობებში ჯიშს ეკუთვნოთ. მათ იჭრნენ სპეციალისტების უსულგულო დამოკიდებულება და ინახულებდნენ თუ არა, ზურგს შეაქცევდნენ ხოლმე სამაგიეროს გადახდის ნიშნად.

სპეციალისტებმა კი არც აცხადეს, არც აცხადეს და ერთი ხელის მოსმით „დაბრავს“ აქარული ქროხები, როგორც უჯიშისი და დაადგინეს ჯიშისი ქროხების შექმნა.

სასწრაფოდ მიღებულ იქნა სათანადო თანხა, დაიგზავნა ხალხი სპეციალისტების ჩრებებიდან სპეციალური სამილიონებო ხარჯებით ჯიშისი ქროხების მოსაყვანად და მოიყვანეს კიდევ 20 სული ჯიშისი ქროხა.

აქარულმა ქროხებმა მოყვანილი ქროხების დანახვისთანავე ასტებეს ბღავილი.

ეს იყო გამოწვეული იმის შიშით, რომ მათ საპირველ გაუშეებდნენ და მოუსპობდნენ სიცილს, მაგრამ ახედ-დახედნენ თუ არა მოყვანილ ქროხებს, ატებენ სია

ცლი „ისეთმა ფერმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველიდესო“—გაიძახოდნენ ისინი და აბუჩად იგდებდნენ კანკებ შენებარ „ჯიშის“ ქროხებს.

მოყვანილი ჯიშისი ქროხები განსაკუთრებულ პატივში ჰყავდათ, მაგრამ აქარულმა ქროხებმა მაინც არ გაიტებეს გულს. „მაგათ მაინც კი ვაჯობებთ, სულ რომ არაფერი ეკამოთო“ — გაიძახოდნენ ისინი და სიძვრებზე კუნტოვით დაბტოდნენ.

მეველიებმა მოწველეს ჯიშისი ქროხები, სადაც „სამეცნიერო“ მიღგომით მ

ლტრას რომ გადაამორებდა ისეთი, რომელიც თუ გამოეროდა.

აქარულმა ქროხებმა მოუშვეს ცურები და ღვართაქვივით ჩიქ და ვინ მ, ვინ მ ლიტრას გადაქარბა.

ასტებეს აქარულმა ქროხებმა სიცილი იცინიან ქროხები, იცინიან აქარული კოლმეურნეებიც. იცინის „ლამაზა“, იცინის „შუბლა“ იცინის „ჯერანა“, იცინის იცინის და კვდება სიცილითა... აღარ იცინიან მხოლოდ აქარსტანის მიწისაგან „სპეციალისტები“...

სამეცნიერო-სამეცნიერო

ნან. თორიძის

ზოგიერთი რაიონები ვერ ძინენ საკმაო ათსობას თესვის კამპანიის ჩატარებში საქმეში.



— მიწსახკომი ხარ? მიწსახკომი?! მე ველაპარაკებით—რაიმიწვანადან: როგორ მიდის თუ ძმა ხარ თესვის საქმე აქანა,—ჩვენ რაიონში?

—ნიანგის დავალებით ჩასაკელით, ამხანაგო, კოლოები ჯერ ხომ არ იქნებიან?— შევიკითხე ყარაიელ ამხანაგს, როცა სამანქანო-სატრაქტორო სადგურში მივედი, ცოტა ფეხი გადავბიჯე და ის იყო, რომ ჩავევარდი ნავთის მორევში; ამოსვრილობა, სასწრაფოდ ნიშნულურ ამოცხებულებით რკინის გზის სადგურისაკენ გამოვეშურე, ჩემს სიხარულოს სახლვარი არ ქონდა, ჩავეწერე ისტორიაში მეთქი გავიფიქრე და გამოვაცხვე დეპეშა:

...ელვა, ტფილისი. ნიანგს: ყარაიაში აღმოჩნდა ნავთის საბადო, სატრ. სადგურის ახლოს ამოხეთქა დიდძალმა ნავთმა“.

გადავეცი დეპეშა ტელეგრაფს. ტელეგრაფისტი დიდხანს გაშტერებული შემყურებდა. შემდგომ მითხრა—ამხანაგო, თქვენ ცდებით, ეს ნავთი არ იქნება.

- ნავთია, — მიუყვირე მე.
— არ არის!..
— კი არის!..

შეიქნა დავა და სინამდვილის შესამოწმებლად. ისე უკან გავეშურეთ და... ნავთი კი იყო, მაგრამ... არა მიწიდან... არამედ სატრ. სადგურის კასრიბიდან იღვრებოდა თურმე ეს ოხერი.

— ხა, ხა, — ხა! — გადაიხარხარა ტელეგრაფისტმა.

— ტყვილა იცინი ჩემო ბიძია. მე ხომ გითხარი ნავთი იქნება მეთქი.

სახაძლო მანც, მოვიგე.

გაიგეს თუ არა ჩემი ვინაობა, შემომესივნ.

— საწვავი რომ იღვრება—ეს ჩემი ბრალი არ არის—მომხალა შოფერმა ზორინმა.

— შოფერის ბრალია! უხეშად ვადმოავლო კასრი და გასკდა! — დაამატა სათბობის საწყობის გამგე ხარეშიმ.

— სამივეს ბრალია! მე არაფერ შუაში ვარ! — ჩაერია მსჯელობაში საწყობის გამგე ბოიკო.


— ამაზე ბევრი ვიმსჯელებ, მაგრამ დამნაშავე და პასუხის მგებელი იერ ვიპოვეთ, ხვალ ამ საკითხზე საწარმოო თათბირს ვიწვევთ. — დაუმატა პროფმუშაკმა.

ამ დროს შოფერს ხელი ვტაცე და ფასრს გაუკითხე საცობად.

— ეს ყოფილა, ძმაო, გამომგონებელი, — იხუმრა ვილაძემ“. შეწყდა ნავთის დენა და გაუთავებელი დავა ხმის შესახებთუ ვის ვისი მოვალეობა იყო, ან ვის ფუნქციაში შედიოდა ნავთის ღვრის შეჩერება.

მინდვრად კი გაჩაღებულია თესვა ყოველგვარ ფუნქციონალობის გარეშე.

იხანია.



— გაიგე კაცო, ლაქიებისთვის ფრაკის ტარება აუკრძალავთ! მენუშიკი — დავიდუბეთ. აწი რალა ჩავეცვათ!

გიორგი ფიფიას სიგლერა

ყოველი მხრივ კმაყოფილი ვიყავ გიორგი ფიფია, საქმე არ არის ისეთი, ამ ქვეყნად რომ არ მიქნია. ჯერ ვიყავ მუშა უბრალო მუშკორიც დაუნდობელი, მერმე ვისწავლე ჭკუა და შევიქეხ ძმების მგმობელი! პირველად გაუხდი ნოქარი, ვიყავი თავაზიანი, მქონდა ერბო და შაქარი, ჩაი და ყავა რძიანი. კავშირმა იგრძნო, რომ ძალა მქონდა მე მომადლებული, სთქვა, რომ „იქნება ნამდვილად ეს პროფმუშაკი ქებული“. აჭარვაჭრობის ადგილკომს მე მიმაკუთვნა სავსებით ვამხიარულე ცოლშვილი პური და ღვინით ავსებით. მივეწერდი წერილს, მზად იყო ერბო, თაფლი, თუ შაქარი, მოვიმარაგე აგრეფვე ათ წელს საყოფი ფართალიც. ბუფეტიც გვერდზე გავიხსენ, გავკარ-ვამოვკარ კბილები, „ქვეყანა ცხვარის დუმაა“ რად ვიყო განაწილები!

ჯილდოს მაძლევდა კავშირი მთელიდა უძლველ კაცად, ვიყავი ყველას დამხმარე დაუფასებელი ფასადა! არ დავივიწყე პარტიაც მანდატს ჩავეკიდე ბრჭყალები, (ეს მოვახერხე ბრძოლებით და აუწერელ წვადლებით!) და როცა ფეხი მოვიდგი,— გემო გაუგე ცხოვრებას, საკუთრად ვთვლიდი ყველაფერს „აჭარვაჭრობის“ ქონებას,— ამ დროს სად იყო სად არა, გამიჩნდა მტერი წყეული, შემოდგრა ჩვენთან უჯრედში ეშმაკად გადაქეული! აქ გამოქექა, გაჩხრიკა, იქ გადაავლო თვალები, გამომიჩნა სუყველა ძველი ნისია, ვალები! სხვებიც დარაზმა საბრძოლოდ წამომისია მწვერები, ვერაფერს გაუხდი ბრძოლითა ვერც ქებით, ველარც ფერებით! გამწირეს; მაგრად ამომცხეს, ამიწვეს კუდის რიკია, „გარდახდეს ვადასახდელი“ აწ იმას, ვისიც რიგია.

ბინძილა.

საქართველო საყვადარი



ნ.ხ. თოქიძის

ამ. კავკასიის სახელგამმა რუსულ ენაზე გამოსცა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა ბებო. დასახელებულ გამოცემაში მოთხრობების მთელი რიგი ადაილება ტრადიციულ ზულად არის დაღოარგმნილი.



სიმონა—რამ დაგაღონათ მეგობრებო? ახლა ხომ უკვე 18 წელია, რაც ჩვენს ქაიყანაში ბოლო მოეღო შველი ცხოვრების სიმახინჯესს. ჩვენი მტრები ხომ საბოლოოდ განადგურებულია!
სკირიდონ მცირიშვილი.—პალოლია მაგრამ ახლა ახალი მტრები გავვიჩნდენ, — მთარგმნელები, რომლებიც დაუნდობლად გვაიასაფცაენ...



საბჭოთა სოფელი უნდა დაეწიოს კულტურულად საბჭოთა ინდუსტრიულურ ქალაქებს. არც ერთი ქვეყნის განვითარების ისტორიაში ადგილი არ ჰქონია სოფელზე ისეთ ზრუნვას, როგორც ჩვენში აქვს ადგილი. სოფ. კულტურის მშენებლობის საქმეში თქვენ დიდი პასუხისმგებლობა დაგაკისრათ პარტიაში.

თქვენ ენერგიულად და გულწრფელად მუშაობთ, მაგრამ თქვენ გაქვთ ზოგიერთი ნაკლი და შეცდომები. „არ ცდება ის ვინც არაფერს აკეთებს“ (ლენინი).

აი, ამ ნაკლზე გვინდა დღეს ამხანაგურად და ნიანგურად მივუთითოთ გაზ. „კოლმეურნეს“.

(სიღნაღი).

გადავშალოთ მისი მე-16 (183) ნომერი, რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების მე-13 წლისთავის აღსანიშნავად.

მე-5 გვერდზე მოთავსებულია

„ლიტერატურული ფურცელი № 1“, რომელშიაც გ. ლენინევი წერს:

„პირველად თამაშობდა რუს თველის პროსპექტზე წითელი მეთაურის ცხენი, თავისუფლად დაიჭიხვინა ინტერნაციონალის ხმაზე“ (?).

ცნობილ ღეროვს ცირკში გამოყავდა გაწვრთნილი ცხენები, რომლებიც ცირკის არენაზე უკეთესად ცეკვავდნენ, ვიდრე ზოგიერთი ბალერინა ცეკვავს. ჭიხვინიც კარგი იცოდნენ, მაგრამ მათი ჭიხვინი ყოველთვის „ცხენურ“ ხმაზე იყო, და არა — „ინტერნაციონალურზე“.

შეიძლება რედაქციამ და ავტორმა თავი იმართლონ, რომ ცხენები მე-2 „ინტერნაციონალის ხმაზე“ ჭიხვინებდნენო. ეს ცილისწამება იქნებოდა წითელ-არმიელთა ცხენების მიმართ, რადგან ცხენი საერთოდ მხოლოდ და მხოლოდ ერთ ხმაზე, თავის ცხენურ ხმაზე ჭიხვინებს. ხოლო თუ ვინმეს ჭიხვინში „ინტერნაციონალის

ხმა“ ესმის მას აუცილებლად ყურის კარგად გამოფხეკა ესაჭიროება.

მეორე წერილში ამხ. ძ. ფერა-მეორე წერილში ამხ. ძ. ფერა-დე ასე ხედავს ბრძოლის სურათს:

ყუმბარა მაინც მღერის სისხლით დამთვრალი, ტყვია-მფრქვევი კი მოძახილს ეუბნება. ტყვიები მაყრებივით წინ მიისწრაფიან, გზას წმენდენ — მათი ძია ქვეშები მოზრძანდება“.


პართალია, ძველებურ ქორწილს ბოლოს აუცილებლად თან მოყვებოდა ტყვია და სისხლის ღვრა, — მაგრამ პროლეტარულ მწერალს მაინც და მაინც არ დაშვებდება კლასიურ ბრძოლასა და მაყრიონს შორის ასეთი პარალელის გავლება.

ასე, ამხანაგებო! თქვენი ახალ-გაზრდული ენერგია და გატაცება შეაიარაღეთ მეტი ცოდნითა და მხატვრული გემოვნებით.

ჯანაღი.

ნახ. ქოქიაშვილის

მიწსახკომის ზოგიერთი თანამშრომლები იკვებებიან მავნებლურ იდეებით, თითქოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციასთან დაკავშირებით, გამწევი ძალა ახლა მომავალში საჭირო აღარ იქნება.. (ამხ. ვოროშილოვის სიტყვიდან)



— მიწსახკომის ზოგიერთი თანამშრომლები მავნებლურ იდეებით იკვებებიან, მაგრამ ჩვენ რითი გამოვიკვებოთ?!

ერთხელ ელმუხის რალაც საქმეზე
შორეულ სოფელში მოუხდა წასე-
ლა. მალე დაებრუნდებო, და საგ-
ნალი აღარ წაუღია.

მოშივდა გზაში. სასადილო არსად
შეხედა, ხოლო ოჯახში, ისიც უცხო
სოფელში, საქმელის თხოვნა არ
იკადრა, ძველი აზნაური იყო, და
ანაღ აზნაურად მოჰქონდა თავი.

მაგრამ ბედმა ვაუღიდა. ერთ ეზო-
ში მთელი სოფელი შეკრებილიყო
და მიცვალბულს ტიროდეს; ქელე-
ხისათვის სუფრაც გაეშალათ.

— ბიძია, ვინ მოკვდა ამ ოჯახში?
— ჰკითხა ელმუხიმ სოფლელ ბიჭს,
რომელსაც ხელში „ტირილის ბური“
ეჭირა და ლაზათიანად ილუქმე-
ბოდა.

— ქიშვარდი მოკვდა!
— რა გვარი იყო, ბიძია?
— აბდალაძე.
— მართლა აბდალი ყოფილა, რა
დროს სიკვდილია ახლა! მარა აცხო-
ნოს ღმერთმა, ჩემს ბედზე მომკვდა-
რა! — გააფიქრა მან და ეზოში
ჩავიდა.

ჩავიდა თუ არა, მორთო ხმამაღლა
ტირილი და თავში ხელების ცემა,
როგორც ეს სოფლად იციან ხოლმე
ტირილის დროს.

ელმუხის განსაკუთრებული ყურა-
დლებით შემოუვებენ.

— ქიშვარდი, ჩემო ქიშვარდი, ჩე-
მო ძმაო, არ გრცხვენია, რომ მილა-
ლატე და მოკვდი! — მოთქვამდა ელ-
მუხი.

მიცვალბულის ჭირისუფალმა ტი-
რილს მოუმატა.

ელმუხი უკვე მოუახლოვდა მა-
ცვალბულს.

— სევასტი, ბიჭო, არ გრცხვენია,
რომ...

მაგრამ აქ ელმუხს ვილაცამ გადა-
უწურჩულა:

— სევასტი ცოცხალია, მისი ძმა
მოკვდა ქიშვარდი.

— ვიცი მეგობარო! — წყრომით გა-
დახედა მას ელმუხიმ და არ შეიმჩნია
თავისი გულმავიწყობა. თითქოს მი-
ცვალბულის ძმასაც იცნობსო, ძმას
მიუტორო და განაგრძო: — სევასტი
ბიჭო, არ გრცხვენია, რომ ქიშვარდი
ვერ ვადაშირჩინე სიკვდილისაგან?
ვაი! ამას რას ხედავს ჩემი თვალები!
— და ელმუხი დაეხმო კუბოსთან.
ჭირისუფალმა და ჩათესავებმა მოი-
კრიფეს ძალღონე, უკანასკნელად
დაწურეს თვალები და ცრემლები
გადმოღვარეს.

ელმუხის საგანგებო სუფრა გაუ-
შალეს და განსაკუთრებული ბატივი
სცეს, როგორც მიცვალბულის გუ-
ლითად მეგობარსა და შორეული
კუთხიდან მოსულს.



— ამხანაგებო, ჩვენს ქარხანაში წუნი გაიზ...
ღირმატორი — ბიუროკრატი: — წესრიგისაკენ ამხანაგო!
გთხოვთ საქმეზე ილაპარაკოთ!

მაგრად გამოძღა ელმუხი; კარგად
შეზარბოშდა.

ამასობაში მიცვალბული გამოა-
სვენეს სახლიდან.

— ბიჭო, რაღა გავიბედა სიკვდილ-
მა სიკვდილი! — მოთქვამდა ელმუხი.
— განსოვს რაგარი მეგობრები ვიყა-
ვით? ჩვენ რომ ერთად დავჯდებო-
დით და შემოგსახებდით: „მაშ მრა-
ვალ უამიერ“...

და ელმუხიმ მართლა შემოსძახა
„მრავალ უამიერ“. მას აყვენ შეზარ-
ხოშებულები ხუცესი და დიაკვანი და
მიცვალბული „მრავალ-უამიერი“
გადაასვენეს.

— ახლა აღარ ცეკვავ, ჩემო ქიშ-
ვარდი; — ტიროდა ელმუხი, — რავარი
კაი ცეკვა იცოდი, ბიჭო!

— კოჭლი იყო, ბატონო, ცეკვა
სულ არ იცოდა! — გადაუწურჩულა
ვილაცამ ელმუხს, რომელიც ფეხს

უკან ითრევდა, რომ პროცესიას ჩა-
მოშორებოდა.

— თქვენ საიდან იცნობდით? —
შეეკითხა ეზოდან გადმოსვლისას
ცნობისმოყვარე სოფლელი.

— ჩემი მეგობარი იყო, ხშირად
დადიოდა ჩემსას.

— კუნტი იყო, ბატონო; ოცი წე-
ლიწადია ეზოდან ფეხი არ გადაუ-
დვამს. სიკოილის დროს ვილაც მე-
გობარს იგონებდა და ნატრულობ-
და... რალაც ანგარიშებიც მართებ-
სო... ალბათ ეს თქვენ ბრძანდებო-
დით.

— არა, მე მას არც კი ვიცნობდი!
— მოკლელ მოუჭრა ელმუხიმ აკვია-
ბასო მოსაუბრეს და თავისთვის
ჩაილაპარაკა: — რა ვიცი რამდენი
ოხერი კვდება! ძალი მოაკვდა საფ-
ლავეში! — და იქვე მოსახვევში გადა-
უხვია და მიიძალა.

წინათ და ახლა

ნახ. ღონის.




1. ყვავილთა თაიგულის ხელში ეჭირა კონა. ღვთაებას უწოდებდენ, და იყო იგი მონა.



2. ოქტომბერს ვერ გაუძლო ძველი ცხოვრების დამბამ. მშრომელ ქალს დღეს ამშვენებს კოლექტივების ბამბა.




3. თითონ ტიკინა იყო, ტიკინით თავს ირთობდა. ტიკინა ტიკინასი ამას კი ველარ გრძნობდა.



4. დღეს შრომის შვილის დედა არის მშრომელი ქალი. ზრდის ის ღირსეულ მებრძოლს ბრწყინვალე მომავალის.



5. შვილის მაგიერ ამან ფინია გაიჩინა, და თამაშობდა მასთან რომ აღარ მოეწყინა.



6. კოლმეურნეთა ფარას უვლის მშრომელი ქალი. ახალ ცხოვრების არის იგი ბურჯი და თვალი.

ახალიაბის საჩუქოში

სატყეოთი შევიაოყ...
 დილა იყო წყნარი, კაიშაურს მივესალმე,
 (აქ „გლაგებუბად“ არის.)
 —სკატრავდი, ამხანაგო, რახე ლანძღავ გლეხებს? კარში რეკავ; უბრტყუნებ „უპრაგონოთ“ ფეხებს.
 —შე არა ვარ დამამაშვე, გეფიცები სინდისს... მეჯავრება ტყაპუქით წინ როცა გლეხი მიხის.
 გამოვშორდი „კაყოფილი“ და მიგმართე გაბეგეს:
 —მიპასუხე: შეშას ხე-ტყეს ვის აძლევ და რამდენს? მითხრა—ყველა ჩემ ძმა ბიჭებს შენც წაიღე, კაცო...
 ოღონდ—ნიანგს აგვაშორე, რომ კული არ დაგვცხოხს.
 —როგორ მოხდა. შიპასუხე გამგეგ, თუ გიყვარდე, რომ ოცდაათ საუენ შეშას „წირვა ვაღუხადე“?
 —რა ვქნა, წყალმა უსინდისომ, მოწმე გახლავთ ყველა, მოგვტაცა და უნებართვოდ ქვემოთ გაუყენა.
 მე ვიფიქრე, რა ასეთი სიტყვა მესმა მისგან:
 „შეშის ნაცვლად სხვა ყოფილა წასაღები წყლისგან“.
 ჯ. ლილი

თ ი ა ხ ე თ ი

I.
 ნიანგო, თიანეთიდან მიიღე ჩემი სალამი. არ დავიშურებ საკბილოს ხელში მაქვს ბასრი კალამი თიანეთიდან ვიქნები მებრძოლი ბელა-ბერდია. უნდა ავაგო ჩანგალზე მოლალატე და ყბედიი.

II
 თიანეთშია სავაჭრო „საქვაჭრობისა“ წოდებით, მასში პავლეა ნოქარი აღსავსე ბევრი ცოდვებით. ინტრიგანი და უხეში, მკლავადის ტიპის გმირია— და ამას ითიქრობ—ნიანგო, ყურის აწივა სჭირია. ბუნხალოჭრად არის ნესტორი კომბინატორი ხელობით. საქმისა ამრევე-დამრევე, განთქმოლი კოდა-მელობით! ეს გელოვანი შაქრუაც მათი მარჯვენა ხელია, ნიანგო, მოდი, გაჭკარი ჩანგალი ბასრი; მჭრელია!
 ბელა-ბერდია.

როგორ მიდის საქმე ხე-ყის — ეს სურათი ამას გვეტყვის

ხანინი და თარგამაძე
კამათობენ ამ ამავში

ნახ. მოქიანვილის

თარგამაძე

მითხარ, ამხანაგო ხანინ:
რამდენი გაივლის ხანი,—
მლიერ მსურს ვავიგო ეგ მე,—
როდის დამთავრდება გეგმა
სვანეთის სარწყავი არხის.
რომ იხაროს იქ ხემ არყის!
იქაური ნაძვი, ფიჭვი
ყოფილა მასალა ფუჭი,
მიტომ მათი დაცურება
ჩვენი გეგმით არ სრულობდა!
ან-და შირაქის ჭაობას.—
ჩათა მომავალ თაობას
სამავალითოდ რომ ჰქონდეს,—
დაშრობას უპირებ როდის?
თუმც დღემდის ყვილამ იცოდა
შირაქი უწყლოდ იწოდა,
შაგრაჟ შინი მუშაკები.
ხე-ტყის ფრთხილი გუშაგები,—
თვლებს დაუბრმავებენ მტერს,—
ვააშენებენ იქაც ტყეს!..

ხანინი:

ამხანაგო თარგამაძე,
გიპასუხებ მე ამასე:
ახალ-ახალ რიგებს ვაცხობთ,
მივლინებებს ხშირად ვაწყობთ,
მაგრამ მათი დამაკიცება,—
(არ აკლიათ თუმც ღირსება,—)
არ იქნა და არ მოხერხდა,
ამიტომ საქმე შეორბოა!
საკითხია მეტად რთული.
სხდომებში ვართ სულ ვართული
მთელი კრებული სპეცების,—
ამ საქმის მცოდნე კაცების
ამასწინად ერთ სხდომაზე
მოვიქანცე იმ ზომაზე,
იძულებული ივიყავი
მიმენებებია თავი
სხდომისთვის და წავსულიყავ,—
მელოდებოდა სულიკო!—
მასთან ცოტა დავისვენე,
შემდეგ კვლავ სხიომა გავხსენი!..



აღზულაღი

დახურულში მოწყობილა
ჩვენი ხოსრო, როგორც მელა
მჭობის ნორმას ჩუმაღ ქაფავს
და სუქდება ნელა-ნელა.
კულტურული გასართობი
იქ გვაქვს მხოლოდ ერთი:—კინო.
მექანიკი მისი მუდამ
მთვრალი არის, უყვარს ღვინო.
და იმისი „დაშხობური“
„მუშაობით“ ლენტი წყდება.
წარწერებსაც ვერვინ არჩევს,
ღრო ტყუილად გვეკარგება.
ნიანგოჯან შეუტეე
იღბოლადის „ავანგარდებს“.
სასაუზმოდ წავადგება,
შენი კბილი მრავალს არგებს.
წითელქუდა.

თბილ აღგილზე

— ჩვენი გამგე თბილ აღგილზე
გადაიყვანეს.
— ტრესტის დირექტორად?
— არა,—ქარხანაში, გამთბოზ მე-
მანქანეთ.

ღრამწრეში

რეჟისორი: — მომავალ ბიესა-
ში ამხანაგებო უმუშევარ ქალების
როლში უნდა გამოხვიდეთ. ბიესა
წარსული ემოქისაა.
სცენის მომწარმის: — ცხადია
წარსულის იქნება, თორემ ჩვენს ხა-
ნაში უმუშევარ ქალებს ხად იბოვი?

პატაკი

(მაიღანი)

ჩვენი სკოლის ძველმა გამგემ
უყო ყლაპი ფულებს.
ნუნუს ზედ აყოლებდს
შემწვარ-მოხრაკულებს.
ბევრი ჰყიდა იმან სკოლის:
ლობიო და პური,
და ჯიბისკენ გააცოცა
აღებული ფული.
საკონტროლო კომისიამ
ეს გაუგო რაკი:
„აბანოში“ მიუჩინა
გრიშას აგარაკი.
სამიქაველი.



მატარებელი ოხვრით გაიერდა სენაკის სადგურზე.

ვასტროლიორმა ჯიბვირებმა თავი ჩაქინდრეს, ვინაიდან მგზავრების უმრავლესობა ფოთიდან მოდიოდა და ფოთის სადგურის ბუფეტში იყვნენ ნასადილევნი.

— ფოთის ბუფეტში უსადილიათ? მაშ ჯიბეში აღარაფერი ექნებათ, — ხელი ჩაიქნიეს ჯიბვირებმა და ქალაქში გავიდნენ.

ჩვენ სასტუმროსკენ გავსწიეთ. ეს სასტუმრო, რომელიც სენაკის აღმასკომს ეკუთვნის, ასიოდენ ნაბიჯზეა სადგურიდან.

თოვლ-ჭყავი იყო, მაგრამ ქუჩა ისეა შეკეთებული, რომ ჩვენ მხოლოდ წელამდე ვიფლებოდით ტალახში.

სასტუმროს კარები სტუმართმოყვრულად გაიღო.

— აი ეს ოთახი თქვენია, ბუხრიანია!

— რა ღირს?

— რა ღირს? — შეგვეკვიფა კომენდანტი და თავი მოიქეჩა: ბევრი არაფერი: ოთახი 9 და ხთი შაური, გათბობა 2 მანეთი, ჩაწერაც ორი მანეთი, სულ ცამეტი და ათი შაური!

მართალია, რაიონულ ცენტრში ოთახი სამი მანეთი ღირს კანონის ძალით, მაგრამ რაღაც 10 მ. 50 კაპიკის გადამეტებით ვის რა დააკლდება!

— რას ყიდულობს შენი ათი მანეთი? ართ ვარისას, — დაგვამვიდა კომენდანტი.

დავთანხმდით. აივანზე გამოვედით. პოეტი რომ გვახლდეს, დასწერდა: სენაკი. პეიზაჟი. მზე ჩადის. ღამდება. შეღამდა. დაღამდა. დაბნელდა. ღამეა“.

სასტუმროს რესტორანში ფრიად დამძიმებული ჩავედით ფიჭვ ბისაგან. სამაგიეროთ, ვახშმის შემდეგ ფრიალვე შემსუბუქდა ჯიბე.

აი ოთახი! აი ბუხარი, გაჩაღებული და მოვლვარე, ვითარცა სასტუმროს რესტორანის გამგის თვალეხი (ფოტიანტ ქალს როცა

უცქერის)! ამ ოცნებით შეპყრობილი, მე ვალებ ოთახის კარებს...

მაგრამ რა არის ეს? სად დაიკარგა ბუხარი? ნუ თუ მოიპარეს? იგი არ სჩანს თეთრ კვამლში, რომლითაც გატენილია ოთახი. ბუელი, მშვენიერი, თეთრი ბული დგას ოთახში და გამოდის ქუჭრუ ტანებიდანაც კი. მე ვალებ კარებს, ფანჯრებს და ეყვირი:

— „მიშველეთ! ხანძარია“!

კომენდანტი აღუშფოთველად იღიმება:

— რის ხანძარი მეგობარო? ხამი ხომ არა ხართ? პირველად შემოდით ჩვენს სასტუმროში? ბუხრის მილი გაფეჭებულია და კვამლი არ გადის. გააღეთ კარები და ჰაერიც გასუფთავდება. ხანძარს აქ რა უნდა? თუნდაც იყოს ამ ულაამისას შენ გააღვიძებ მეხანძრეებს? დაწეკით, უწესრიგობას ნუ ახდენთ, ხულიგნობას დაგვინებენ.

და რომ ხულიგნობა მომ, მე ვკეტავ კარებს, რომლებიც არ იხურება, ვკეტავ ფანჯარას, რომლის ყური ჩატეხილია, ეწვეები ლოგინში, რომელიც გაურტყვიანია და ვიხურავ რაღაც ფართალს, რომელიც აქ საბნის მოვალეობას ასრულებს.


მართალია ზამთრის ღამე გრძელია, მაგრამ რა არის დროს ხანგრძლივობა, როცა ამ 13 მ. 50 კაპიკიან ოთახში მშვენიერად გრილა (თითქმის ყინავს), თოვლივით სეთრი კვამლი ეალერსება თვალეხს, ბუხარში შიშინებს წყალიანი შეშა, ხოლო სარეცელში ეშმაკურად მიღიტინებენ... ბაღლინჯოები რწყილები და სხვა სიმპატიური ცხოველები!

ოხ რა მშვენიერი, რა ტურფაა სენაკის სასტუმრო!


ალლარ-ალლარსან.

ნახ. ღონის

„საქრებულო“ ხელმძღვანელობს ვინ მე ჩახტოდა, რომელმაც თავი ისახილა უჩვეულო ბიუროკრატიული და მოსამსახურებისადმი უხეში მოპყრობით. აღვილკომში მისი დამკაშია“.



ჩანძოაქმი — ხმა! კრინტი არავინ ვაბედოთ, თორემ გიჩვენებთ ჩემს ბიურობას!
აღვილკომი: — ააამინ!



ბრიტანეთის „მორცხვი“ ორატორი.



ნახუცარი ნოქარი და მისი თანა შემწე.

ქაენი

სამოქმედო

(ოზურგეთის რაიონი)
 „შემოქმედის თემის (ოზურგეთის რაიონი) კოლმეურნეები: ი. და თ. გოლიაძეებმა გწვიან სპეკულიაციას.“
 შემოქმედელი.



კოლექტივში მელასავით შეპარულხართ ჩარჩები, შეეკითხით თავმჯდომარეს: „ქ სანამდი დარჩებით?!“

იაუჯიბავს!..

(სოფ. ლიჩი ბიათურის რ.)
 „ლიჩის თემის (სოფ. ლიჩი) მომუშავე ედ. ხარაიშვილი თა ხელს აკრძალავს ათურის რაიონის განათლების მინისტრის კვ. ამას ყურადღებას არ აქცევს.“
 იმერელი.



ფინმუშაკა ჩაუფიბავ მასწავლებლით ფული, (კაცი რაებს არ ჩაიდენს ნამუს დაკარგული!) ამ „მუშაკა“ სამსახური ნეტავი ვინ მისცა — რაი—გამაგს ვეკითხებით პასუხს ველით მისგან!

ქუთაისი


„ქუთაისის სისბლის სამართლის მილიციონერი ყიფიანი მუდამ მთვრალია და ხალხს ავიწებს უშვარი სიტყვებით.“
 დ. მალლაკელი.
 ვეკითხებით ქუთაისის პილიციის ოფროსს; (ალბად იგი ყიფიანსა იცნობს ჩვენზე უფრო)



თუ რომ მილიციონერი ღვინით „დარღებს“ იქრობს, თვით მართველი მილიციი ამაზე რას ფიქრობს?!“

სოფ. ფოცხო (სენაკის რაიონი)

„სოფ. ფოცხოს (სენაკის რაიონი) გლეხკომის თავმჯდომარე ალ. მალანია ეწვევა სპეკულიაციას გლეხობისათვის მილიტულ საქონელზე. სხენებულმა მალანია ამ დღეებში 8 მანეთიანი ლორხმანი გაჰყიდა 20 მართაო კილო“
 თჩივა.



შეუცვალეთ მალანიას ხასიათი მღერის, ძველი ჩარჩი თავმჯდომარედ გლეხკომს არ შეჰფერის!

ბოლო

„გორის საგარეუბნო მეურნეობის აგრონომი აბო ბუხრიკიძე დაუზოგავად ფლანგავს მეურნეობის ქონებას. უფასოდ აძლევს ნაძრობ. მეგობრებს საქონელს მას უსასყიდლოდ მიღებული აქვს რამოდენიმე ათეული ფუთი ვაშლი და სხვა პროდუქტები“
 შავი.

აგრონომი მოყვარული ერბოს, ხახვის, ვაშლის, გემას—თვითმომარაგების არასოდეს ჩაშლის.



და ჩვეული—სხვების ხარჯზე კარგ სუფრასაც ვაშლის! ბუცბრიკიძეს, აგრონომსა, ვინც არ იკლებს ღვინს, მე ნიანგის დავალებით ვუღვინ მუშგლებინს!

სპეციალური ქუთაისის

ნომერი
 გამოვა 20 მარტს

ნახ. გ. თორიძის

„საჩხერეში (ქიათ. რაიონი) არის ექიმბაში ვინმე მოდებამე, რომელიც თავის თავს შინაურ ექიმს უწოდებს და გლენებსუყავს აძრობს. ამ „შინაურულად“ მოაქამე „შინაურულ“ ექიმბაშს ადგილობრივ ხელისუფლება შინაურულად ინახავს“.

გატყობინებ ნიანგო
თუ რა ხდება ქალაში.
იქ ცრუმორწმუნეობა
ისევე არის ქალაში!
მკითხავ—ექიმბაშს, ჩვენში
ცნობილ ქეთო ცაბაძეს,
„სასურველ“ ხელობაში
უკვე ბევრმა წაბაძის
ყველას გადააქარბა —
კახიშვილმა ლიდამა
დეპეშით ვით გადმოგცე:
რამდენი იფლიდა მან?!
„მხოლოდ“ სამი მახეთი —
ნისრად თუ აქვს ქეთოსა,
ლიდა რა ქალი არის—
მეტე არ აკეთოსა?!
თითო „სტანსი“—მიმსვლელს—
უზის ერთი თუმანი!
(„ნიანგო“, ეწვიე და
გაუფუჭე გუმანი!)
თ, რას არ გაავიწყებ—
იმის „მადლიან“ ბავთი!
(გიძირებით ქაობში—
იქ მკითხავენის ბანვით!..)
სადაც უნდა ეძებო
ლიდას არსად ყავს ტოლი!
(მას თანაშემწედა ჰყავს
გ. ჩაჩანიძის ცოლი!)
„სიანსი“ აქვს სახლში და
ასეთივე გარეთა
ლიდა—„უფლის ქადაგი“—
ბეგრს ატირებს მწარედ!..
ზოგს გზაზე გადაუდგება—
აჩოქებს და ალოცებს..
ზოგს კი შინისკენ იწვევს—
წუნუათი ალოთობს!
რას არ გამოიგონებს—
მართავს ლხინს და დღეობას..
სწყველის ხელისუფალთ, და
ჩიენს კოლმეურნეობის!
სამოც კომოს აბითურებს—
ართმევს: ცხვარს, გოქს, ინდოურს.
ყველგან თითონ თამადობს—
კარგად ცეკვავს კინტოურს!
ქარია თუ წვიმა—
მაშინვე დროს იხელთებს;
და ბუნების ცვლილება
თავისათვის იყენიბს!
ეს „ღმერთის“ რისხვა არის—
რადგან აღარა გწამთო...
უარესი მოგვლით...
თუ მიწას არ შეესამთო!..
ამ სისულელეს ჩმახეთ—
ბევრმა შეჭამა მიწა...
(სხვები გააბამულა —
თვით კმაყოფილი მიწვამ)
დებოს მუშას, „პარტიულს“—
ვასო ვაფარაშვილმა:
ხშირად ვხედავთ იმასთან
ლოცვად ხელებს გაშლილს!
სხვა ერთ მუქა მიწას ქამს—



— ცოტაც გაუძელ ძმაო და თუ შინაურულად არ მორჩი, შინაურულად მაინც მოკვდები!

ეს არ სჯერდება ორსა!
(და თუ კიდევ რა ხდება—
თქმა წაგვიყვანდა შორს!)
ლიდას სამივე შვილი—
„კომკავშირელები“ ჰყავს...
ორი ძმა, ორი სიძე—
„კომუნისტები“ ახლავს!..
და ყველას „ათამაშებს“—

თითონ ღირეფორია!
რასაცა გწერ—ნიანგო,
არ ვგვინოს ქორია!
კალსობრივი მტერი თუ—
ჩუმბი სიამით ბრწყინავს,
ვინც ეს უნდა აღკვეთოს—
ყურგუნძრეცლად სძინავს!

ბარჯან.



ს ა მ ტ რ ე ღ ი ა

— ბაზარი გადმოიტანეს, კაი და პატიოსანი, მარა მის კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავს! აი, შეხედე ლაფში მცურავ ურემს, უგეგმოდ აგებულ ფარდულებს, კუბოს მსგავს საეაქროებს, საშინელ სიბინძურეს!..

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩარჩებისა და სპეკულიანტების მოსპობას არაფერი ეშველა!

ასეთ ხმებს ხშირად გაიგონებთ სოფლელებისაგან! აღმასკომს ბეგრჯერ, ქონდა მითითება ბაზრის მოწყობის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგს ვერ ვხედავთ.

ქალაქის სანიტარია — უმოქმედობით მკვდარია!

რკ. გზის რაიონის საცხოვრებელი სახლების მობინადრენი ვერ იცავენ თავიანთ ბინებში სისუფთავეს. კომუნდანტი ამბობს; — ეს რა ჩემი საქმეა, მე მხოლოდ ძმაბიჭების ჩამოსახლებით ვარ დატვირთული.

გაზაფხული ახლოვდება და სანიტარიასთან ერთად, დატვირთული კაცადე უნდა ვანტივიროს და მოშხამული ჰაერი ვაიწმინდოს.

ეს კი აღმასკომის და რაიონის საქმეა.

**

— ამხ. შარაშენიძე, რა სახის საკლუბო მუშაობას აწარმოებთ ამ ხანად?

— ეს კავშირების კლუბია.

— მგ საწრეო მუშაობაზე გეუბნები?

— მუსიკას ეუკრავთ!

— მუსიკა ვის ეკუთვნის?

— გლუბს, მაგრამ იჯარით გაკეცილი.

— სხვა რა წრე გყავთ?

— ?

— ბაღეთების „შეკეთების“, თუ „გადაკეთების“ ამბავი ხომ არ იცი მოლარე ოტიაშვილის ქალის მიერ.

— ვიცი, მარა...

— შელადის მიერ?

— ისიც...

— საზოგადოება თუ ესწრება წარმოდგენებს.

— წარმოდგენას? რომელ წარმოდგენას?

— კინო-ბაზას რომდენი დღე აქვს თვეში?


— 30, ხან 31, წელს კი თებერვალში 29 დღე.

— სიზმარივით მახსოვს, მგონი სამკითხველო იყო აქ სადღაც?

— სიზმარივითვე გაქრა!

ნიანგკორი მარტვილის რაიონში

ს. გაზაფხილი



სოფლის ეპოს ნოქარი ყავს. ლევანია ვაგზურია. წონისა და ზომის საქმე დომნალივით აურია.

„მუშაობდა“ ფართალს ყიდდა თან ქაფავდა ზორბად ხურდის. სიჩქარისგან „საწყალ“ ლევანს მტრიაანი „დაუცურდა“.

და მიდევლებს ააცანკლა მხოლოდ „თითო ვოჯის“ ხელო, ორ დღის შემდეგ ნაქაფავი სიზმრად ნახა ერთად ყველა...

გაზაფხულის სიზმარია, მან შედეგი იცის ავი ვაპ, თუ ფეხიც დაუტურდეს და გამსახლში სტუტოს თავი!

კოლექტივია სოფელში, „მეორე სხივი“ სახელად. რუნაია, ლადიკო მის თავჯდომარე — „მფარველად“.

კოლექტივს გვყავდა ხარები წარმა, შეინლა და ვიშერა. სამივე ლადომ „ჩაყლაპა“, ძებნამ ველარა გვიშველა...

აწ კი ნიანგსაც უსმინონ: პროკურორის დავებზე ვალადა. „სამივე მეუღლე წაართვან, ლადო დასტოვონ ცალადა!

სოფ. თამაკონი

აქ თემკომის თავმჯდომარედ ალე არის — სხულუნია. ქეიფის და ვადაკერის დროს ფულებს ფანტავს, სულ უხვია.

ღვინოს დაღვეს, დაითვრება, თვალებს მგლურად აბრიალებს, ილანძღება და მაუხერს ისერის, ხელში ატრიალებს...

იანო

— კეთილი და პატიოსანი! წიგნები?

— წიგნებიც!

— ბუტაფორიაზე რას მტყვი?

— იგვეს!

ლადო დასტოვონ ცალადა!.

— ხალიჩებზე, ნოხებზე, სავარძლებზე?

— იგვეს!

გამგე ეხე რკინის გზისა, ნახუტარი — ჯორზე ზისა!

— გამარჯობა კლუბო შენი! — მივაძახე შესვლისთანავე, — ხომ ისევ ძველ ჯანზე ხარ?

— გამარჯვება ნუ მოგეშალოს შეილო, როგორ ვიქნები, ძალიან ცუდათ. დღელამე გამოკეტილი ვარ ამ

კარებში და კაცი ყურადღებას არ მატყევს. ლამის მშვიერ-მწყურვალი მოგვკვდე!

— გამგე არ გვყავს თუ?

— ერთხელ მიხანულა, მაშინაც სალამი არ მოუტია, ისე წავიდა. ასე დეჩაჩანაკლი ჯანლონით სავსე. ახლა რალა ვარ! იყო დრო ყველა რკინისგული მანახლობდა, მეაღერსებოდა, პატივს ვცემდი, პატივს მცემდა და ახლა კი ასე ვკვდები უპატრონო!

ამ სიტყვებზე გული აუჩუყდა, ცრემლი მოერია, თვლები გადანაბა და ის-ის იყო უკანასკნელად რაღაც უნდა ეთქვა, რომ მას წასწრაფოდ ეჭი მისთვის გაეჩქეცი!..

გაზაფხილი გვიჩი.

გოლორი

ტელეფონთან

ელვა



ლიას (აქვე) აი თქვენი პოემის „საუკეთესო“ ადგილები:

შენ, შალიკო, არ გაჯავრდე, თუ დაგვირდეს „ჩისტკა“; წმენდა, რისთვის დარჩი ბაბუაშენს მისი სულის წასაწყვენდათ ზარმაცია ჩვენი პლატონ თავში უდევს თივა, ნეშო, და ჯიბეში კი თავგები თავისუფლად დათარეშობს.

შავი პლატონ, პალტავაში დაგავიწყდა შრომა, გარჯა და ფულები კი პალტავეო გოგონებში დაიხარჯა ვერაფერი ვერ გაიგე ამ ელენას ხად არ სდივ. შინისთანა ინჯილერი (!) საბატეში დავაწყვდივ.

ძალიან მორცხვი ყოფილხართ... როცა პლატონის საბატეში დამწყვდევას შეუდგებით, თქვენი თავიც არ დაიღიწყოთ!

მომავლის შვილს (აქვე) „თქვენი“ მოთხოვნის შინაარსი („სტუდენტების სასადილოში“) ჩვენს ურუნალში გამოქვეყნებულ მასალიდან არის აღებული. გამოდის, რომ ნიანგს პირში საკუთარ ლუკმას ართმევთ და თქვენი სახელით უბრუნებთ—სადიური ხომორობა.

ხალს (აქვე) თქვენი ლექსიდან „ვაჭრის მოთქმა“, რომელიც რაფ. ერისთავის ლექსის „ბერუს ჩივილის“ მიბადებით დაგიწერიათ ყველაზე უფრო ეს ადგილი მოგვეწონა:

რას ვიფიქრებდი ბეჩავი სავაჭრო მქონდა მე დიდი უცებ გამოჩნდა აგენტი ხელში ეკავა პორთფელი. თავ ფეხებამდის დამცეცხლა მას რომ მომავალს შევხვდი კარში მომადგა წყეული თავის ამქრებიც თან ახლდა.

საწყალი რაფიელ ერისთავი! რა ეჩქარებოდა; ეცოცხლა კიდევ თქვენი ლექსების წაკითხვამდი! ცოტათი მაინც მიგბაძავდათ!

— ააა, სტაქოს ვახლავარ, როდის ჩამოსულხარ? როგორ ცხოვრობ?

— გაუმარჯოს კირილეს. სამუშაო მინდა ვიშოვო რაღე. ძან ბედზე კი შემთბი კაცო. ერთი საცხა ბამბის ფაბრიკა ყოფილა აქნაი და იქინეი უნდა წამყი: იქინე ერთი ჩემი აფხანაკი არის და შეიძლება რაღე ადგილი მიშონოს.

— ბამბის ფაბრიკა, ჩემო სტაქო, ბარე ექვს ვერსზეა აქედან, მაგრამ უფრო ადვილად შეგვიძლია ამ საქმის მოგვარება. აგერ საფეიქრო ტრესტში საქმეთა მმართველი მყავს ნაცნობი, შევიდეთ მასთან და ტელეფონზე გამოვიძახოთ იგი შენი მეგობარი.

შევედით საფეიქრო ტრესტში.

— შეიძლება, თქვენი ტელეფონით ვისარგებლოთ?

— ინებეთ.

მოდი სტაქო, გამომართვი ეს შილა კი, გამოიძახე ცენტრალური და მოთხოვე ნომერი 23—49.

— ცენტრალნი... ცენტრალნი... ცენტრალნი. ერთი თუ ძმა ხარ ნიკოლოზა გონიძეს დამიძახე მაქანაი.

ვინ მინდა? ნიკოლოზა მინდა გონიძე, ნიკოლოზ. რაიო? მაქანაი ვენერული დისპანსერიაო?! მაგი არ წევიდა უკეთეს აიგილას. მე იქინე ია მინდა.

კი—ლი.

კულაკი ოცნება

ნახ. ღონის.



— აი, როგორ ღავთხსავდი მე კოლმეჭივის მინდვრებს!

„სასწაული“ ეკონომიკური გეგმით

ყვარელი. მოხდა აოაჩვეულებრივი რამ: 22 თებერვალს ყვარელის ელსადგური მუშაობდა ნორმალურად და ადგილი არ ქონია სინათლის ჩაქრობას, ხალხი დიდათ გააკვირვა ამ გარემოებამ. როგორც გამოიჩვეა იმ დღეს სად გურის გამგე და მთელი შემადგენლობა ფხიზელი იყო. ამჟამად კვლავ გრძელდება ელსადგურის ძველებურად მუშაობა, რის შესახებ ასეთ სიმღერას გაიგონებთ ხალხში:

ყვარელისა ელსადგურს აოარ უნდა ქება, შეუადლისას აინთება სალაპოთი ქრება!

მოხევე

სიზმარში...

ფოთი. ფოთის რკინის-გზის ნუშათა კლუბის გამგეს დაესიზმრა ვითომც კლუბში გაიმართა წარმოდგენა, რითაც დიდათ კმაყოფილი დარჩენ მუშები. სიზმარმა გამგეზე გავლენა იქონია და ცვიქრობს სიკოცხლეში ერთი წარმოდგენა მაინც გამართოს მუშებისათვის.

გურული.

„კოოპერატორები“

ოზჩა. საქონლის თავიანთ შორის განაწილების დროს წაიჩნებენ კოოპ. თავმჯდომარე, აოქარი და ბუჭხალტერი. ნოქარმა შეურაცყოფილმა იმით, რომ ძვირფასი საქონელი აღარ ახვედრა თავმჯდომარემ — აილა გააწნა უკანასკნელს. ჩხუბის დროს გატეხილ იქნა რამოდენიმე კვარტი ღვინო.

მცოდნე

ზრიგადირი გამგე

ჯგალი. (წალენჯიხის რაიონი) ჩამოყალიბდა კარტის მოთამ. შეთა ბრიგადა; ბრიგადის ხელმძღვანელად არჩეულია ადვ. კოლახალგაზრდობის სკოლის გამგე ვალერიან კვარაცხელია, „მუშაობა“ სწარმოებს ყოველ სალამოს ვალერიანის ბინაზე.

ლეკი.

ნიანბი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. მოქიანვილის



— სათესლედ შეგვიწახს და საფქვავად გვაგზავნიან!.. გვიშველე ამხანაგო!
მოლაშქმი: — არ მცალია, მოსხენება უნდა გავაკეთო თესვის კამანის შესახებ.